თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 8

ქ. თერჯოლა 06.08.2024 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. გრიგოლ გიორგაძე, 5. გიორგი ბარათაშვილი, 6. ფრიდონ გვენეტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გოჩა ვერულაშვილი, 2. მანუჩარ ფანჩულიძე, 3. რამინი რობაქიძე, 4. კობა კირკიტაძე, 5. როლანდი მესხი.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 6 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282419953, 17.07.2024 წ.);

   მომხს.: თ.ქოჩაშვილი

2. ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-2824419260, 10.07.2024 წ.).

   მომხს.: თ.ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია - საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2400 განკარგულებაში შევიდა ცვლილება და თერჯოლის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო დაფინანსება 700.0 ათასი ლარი.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 700.0 ათასი ლარით და შეადგენს 31769,7 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 700.0 ათასი ლარით (გრანტი).
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 700.0 ათასი ლარით. მათ შორის:
გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 670.0 ათასი ლარით.
კომუნალური მეურნობის განვითარების ასიგნება გაიზარდა 30.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების შესახებ და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი